არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება

№064/01 2018 წლის 5 დეკემბერი ქ. თბილისი

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის
აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს კანონის - „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 35-ე მუხლის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის 3 ნაწილის, მე-14 მუხლის პირველი ნაწილის, მე-3 ნაწილის „ბ“, „ე“, „ვ“ და „ლ“ პუნქტისა და მე-4 ნაწილის შესაბამისად, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები დანართის №1-ის და აფელირების შეთანხმების პირობები დანართი №2-ის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების ასლი გამოქვეყნდეს საჯაროდ.
3. ეს ბრძანება თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში შესასრულებლად გადაეგზავნოთ უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს/პერსონალს.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს განვახორციელებ პირადად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

პროფესორი, არქიმანდრიტი ადამი
(ვახტანგ ახალაძე)

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის
აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი არეგულირებს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკადემიური პერსონალის აფილირების წესსა და პირობებს, ადგენს აფილირებასთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალისა და უნივერსიტეტის უფლებებსა და მოვალეობებს;

2. წინამდებარე წესით დადგენილი პროცედურები გამჭვირვალეა და ინფორმაცია მისი თითოეული ეტაპის შესახებ ღია, ხელმისაწვდომი და ადვილად აღქმადია დაინტერესებულ პირთათვის.

მუხლი 2. ტერმინები და განმარტებები

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) აფილირება – წინამდებარე წესის მიზნებისათვის, უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობითი შეთანხმება (აფილირების შეთანხმება), რომლითაც:

ა.ა) აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ უნივერსიტეტთან;

ა.ბ) უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში;

ა.გ) უნივერსიტეტში ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო მისი კვლევის შედეგები ეთვლება უნივერსიტეტს;

ა.დ) აქტიურად არის ჩართული უნივერსიტეტში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;

ა.ე) აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური / სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.

ბ) აფილირებული აკადემიური პერსონალი – აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, რომელსაც უნივერსიტეტთან წერილობით გაფორმებული აქვს აფილირების შეთანხმება;

გ) აფილირების შეთანხმება – წერილობითი შეთანხმება, რომელიც გაფორმებულია უნივერსიტეტსა და მის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ პირს შორის და განსაზღვრავს მხარეების უფლება-მოვალეობებს აფილირებასთან დაკავშირებულ საკითხებში;

დ) უსდ – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

მუხლი 3. აფილირებასთან დაკავშირებული პროცედურები და პირობები

1. აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსში გამარჯვებული პირი, თუ იგი ამავე დროს არის სხვა უსდ-ს აკადემიურ თანამდებობაზე, ხელშეკრულების გაფორმებამდე ვალდებულია უნივერსიტეტთან გააფორმოს აფილირების შეთანხმება.

2. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელიც გაიმარჯვებს სხვა უსდ-ს აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში, ვალდებულია უნივერსიტეტთან გააფორმოს აფილირების შეთანხმება.

3. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელსაც სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში აქვს აკადემიური/სასწავლო დატვირთვა, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე (აგრეთვე, ნებისმიერ დროს, დატვირთვის გაზრდისას, ასეთი ცვლილებიდან ერთი კვირის განმავლობაში) წარმოადგინოს ინფორმაცია აკადემიური დატვირთვის რაოდენობის, მათ შორის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობის შესახებ.

4. წინამდებარე წესის მოთხოვნათა დარღვევა ავტომატურად იწვევს შრომითი ხელშეკრულების მოშლას.

დანართი №2

აფელირების შეთანხმება №

რიცხვი, თვე, წელი
ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №68

ერთის მხრივ ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204577582. შემდგომ ტექსტში „დამსაქმებელი''), წარმოდგენილი მისი რექტორის, ***სახელი და გვარი*** სახით და მეორე მხრივ იმავე უნივერსიტეტის ***აკადემიური თანამდებობა***, ფიზიკური პირი ***სახელი და გვარი*** (საქართველოს მოქალაქე, პირადი ნომერი: ***00000000000***), სახით (შემდგომ ტექსტში „დასაქმებული''. - ხოლო ერთად როგორც „მხარეები"), საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში შევთანხმდით:

1. დასაქმებული თანახმაა იყოს ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი აფელირებული ***აკადემიური თანამდებობა*** და იღებს ვალდებულებას აკადემიურ თანამდებობაზე შრომითი ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, დამსაქმებლის სახელით მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში და თავისი კვლევის შედეგები ჩაეთვალოს დამსაქმებელს.
2. „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები" არის დასაქმებულის აკადემიურ თანამდებობაზე არსებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.
3. ეს შეთანხმება არის დასაქმებულის აკადემიურ თანამდებობაზე შრომითი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი.
4. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.
5. შეთანხმება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მხარეთა ხელმოწერები:

1. დამსაქმებელი: 2. დასაქმებული: